ჟენევაში გაეროს განყოფილებასთან და სხვა
საერთაშორისო ორგანიზაციებთან
საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა

MISSION PERMANENTE DE LA GEORGIE
AUPRES DE L'ONU ET DES AUTRES
ORGANISATIONS INTERNATIONALES A GENEVE

25454-49-3-201905281525

№ 25454-49
28/05/2019

საგარეო საქმეთა მინისტრს
ბატონ **დავით ზალკალიანს**

ასლი: საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ **მიხეილ ნინუას**

ასლი: საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ **ლაშა დარსალიას**

ასლი: საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორს
ბატონ **შალვა ცისკარაშვილს**

ასლი: გაერო-სთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს
ბატონ **კახა იმნაძეს**

ბატონო დავით,

მუდმივი წარმომადგენლობის 2019 წლის 1 აპრილის № 15174-49, 19 აპრილის № 19079-49 და 7 მაისის № 21791-49 წერილებზე დამატებით, მოცემული წერილით წარმოგიდგეთ ინფორმაციას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ევროპის რეგიონული დირექტორის თანამდებობაზე, ქალბატონი ნატა მენაბდის საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ჟენევაში გაერო-ს განყოფილებასთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებთან და კამპანიის ფარგლებში მომავალ გეგმებთან დაკავშირებით.

17 მაისს გაიმართა ქ-ნი ნატა მენაბდის სამუშაო ვახშამი შემდეგი ქვეყნების მუდმივ წარმომადგენლებთან: **ხორვატია, ყირგიზეთი, ლატვია, გერმანია,** ასევე, **უნგრეთის** მუდმივი წარმომადგენლის მოადგილესთან, **საფრანგეთისა** და **გერმანიის** მუდმივი წარმომადგენლობის დიპლომატებთან ჯანდაცვის საკითხებში.

18 მაისს გაიმართა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ევროპის რეგიონული ჯგუფის შეხვედრა ევროპის რეგიონული დირექტორის თანამდებობაზე კანდიდატებთან.

რიხარდ ვაგნერის ქ. 1, 1202 ჟენევა, შვეიცარია ‖ Rue Richard Wagner 1, 1202 Genève
ტელ./Tel: +41 (22) 919-10-10; ფაქსი/Fax: + 41 (22) 733-90-33; ელ-ფოსტა /E-mail: geomission.geneva@mfa.gov.ge

შეხვედრას ხელმძღვანელობდა შეფასების ჯგუფის თავმჯდომარე. შეხვედრაზე კანდიდატებმა (AUER Clemens Martin – **Austria**, HAKOBYAN Tatul - **Armenia**, EMIROGLU Nedret – **Turkey**, MENABDE, Natela (Nata) – **Georgia**, HINKOV Hristo Ruskov – **Bulgaria**, KLUGE, Hans – **Belgium**) გააკეთებს პრეზენტაცია და გასცეს შეკითხვებზე პასუხები. აღსანიშნავია, რომ **აღნიშნულ შეხვედრაზე გამოიკვეთა კანდიდატებს შორის სამი ყველაზე ძლიერი კანდიდატი: საქართველო, ბელგია და თურქეთი.** ნათლად გამოჩნდა, რომ ბულგარეთისა და სომხეთის კანდიდატები მოიპოვებენ ყველაზე ნაკლებ მხარდაჭერას. **შეკითხვები დასვეს: ფინეთმა, გერმანიამ, ლიტვამ, რუსეთმა, შვედეთმა და მოლდოვამ. ფინეთი** დაინტერესდა როგორ აპირებენ კანდიდატები მათი არჩევის შემთხვევაში 2030 განვითარების პროგრამის მიზნების მიღწევას, ქვეყნების გარდა ვისთან აპირებენ თანამშრომლობის გაღრმავებას, რას ფიქრობენ ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და მონაცემთა დაცვის შესახებ ქვეყნებში არსებულ საკანონმდებლო სისტემებზე, აქვთ თუ არა კანდიდატებს გავლილი ე.წ. 360 გრადუსის შეფასება (360 Degree Survey: feedback on employee performance from several different sources: from managers, from peers, from reports, and from a self-assessment); **გერმანია** დაინტერესდა კანდიდატების მოსაზრებით რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ WHO უფრო ეფექტურად მოემსახუროს ყველა წევრი ქვეყნის საჭიროებებს, როგორ შეიძლება ორგანიზაციის წინაშე არსებულ გამოწვევებთან ბრძოლა და როგორ შეიძლება გაიზარდოს ორგანიზაციის თანამშრომლების მოტივაცია; **ლიტვა** დაინტერესდა ალკოჰოლის მოხმარების მაკონტროლებელი მექანიზმის შემუშავების შესახებ კანდიდატების აზრით; **რუსეთი** დაინტერესდა რას გააკეთებენ კანდიდატები რეგიონულ ოფისში თანამშრომელთა რეგიონული წარმომადგენლობის ბალანსისათვის; **შვედეთი** დაინტერესდა კანდიდატების გეგმებით სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების განხორციელების, სექსუალური განათლების უზრუნველყოფის, აივ ინფექციასთან/შიდსთან ბრძოლის და გენდერთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრის სფეროებში; **მოლდოვა** დაინტერესდა ბელგიელი კანდიდატის ინიციატივით, რომელიც მიზნად ისახავს WHO-ს წინაშე მოსალოდნელი გამოწვევების გამოვლენას.

20 მაისს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 72-ე ასამბლეის მაღლი სეგმენტის დროს, გაიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, ბატონი დავით სერგეენკოს მიღება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ევროპის რეგიონული დირექტორის თანამდებობაზე, ქალბატონი ნატა მენაბდის წარდგენის მიზნით, რომელზეც მოვიწვიეთ ევროპის რეგიონის 51 ქვეყანა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები. მიღებას ესწრებოდნენ ჟენევაში აკრედიტებული ელჩები, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 72-ე ასამბლეაზე ქვეყნების დელეგაციები და ჯანდაცვის მინისტრები შემდეგი ქვეყნებიდან: მოლდოვა, ლიტვა და მონტენეგრო. ასევე, პოლონეთის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, დანიისა და იტალიის ჯანდაცვის სამინისტროების მაღალი თანამდებობის პირები.

20-22 მაისს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 72-ე ასამბლეის მაღალი დონის სეგმენტის დროს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, **ბატონმა დავით სერგეენკომ ქ-ნი ნატა მენაბდის წარდგენის მიზნით** ორმხრივი შეხვედრები გამართა კოლეგებთან შემდეგი ქვეყნებიდან: **მონაკო, ბელარუსი, ყაზახეთი, ჩეხეთი, შვედეთი, დანია, ლიეტუვა, აზერბაიჯანი.** ასევე, **პოლონეთის** ჯანდაცვის მინისტრის მოადგილესთან, **დიდი ბრიტანეთის** მთავარ სამედიცინო ოფიცერთან და მთავრობის მთავარ სამედიცინო

მრჩეველთან, **ირლანდიის** მთავარი სამედიცინო ოფიცრის მოადგილესთან და მთავარი საექთნო ოფიცრის მოადგილესთან, ჟენევაში გაერო-ს განყოფილებასთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან **ბოსნია და ჰერცეგოვინას** მუდმივ წარმომადგენელთან.

23-25 მაისს ქ-ნი ნატა მენაბდემ შეხვედრები გამართა **ყირგიზეთის** ჯანდაცვის მინისტრთან, **ტაჯიკეთის** ჯანდაცვის მინისტრის მოადგილესთან, **ისრაელის** ჯანდაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, **ფინეთის** ჯანდაცვის სამინისტროს პერმანენტულ მდივანთან, **გერმანიის** გლობალური ჯანდაცვის სამმართველოს უფროსთან, **შვეიცარიის** საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფედერალური ოფისის დირექტორის მოადგილესთან, **მალტის** საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში სპეციალისტთან.

შეხვედრების მთავარ მიზანს წარმოადგენდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ევროპის რეგიონული დირექტორის პოსტზე საქართველოს კანდიდატის, ქ-ნი ნატა მენაბდის წარდგენა და მისი მხარდაჭერის მოპოვება. შეხვედრებზე მხარეებს გადაეცა მხარდაჭერის თხოვნის თაობაზე მომზადებული ოფიციალური კორესპონდენცია (ბ-ნი დავით სერგეენკოსა და ბ-ნი დავით ზალკაიანის ერთობლივი წერილი, ბროშურა). საქართველოს კანდიდატმა შეხვედრებზე დეტალურად ისაუბრა საკუთარ ხედვებსა და პრიორიტეტებზე. ასევე პასუხი გასცა დასმულ შეკითხვებს.

მონაკო (Mr. Didier Gamerdinger, Minister of Health and Social Affairs) ქალბატონი ნატა ჩვენთვის ნაცნობი კანდიდატია. ამ ეტაპზე გადაწყვეტილება არ გვაქვს მიღებული ვის დავუჭერთ მხარს.

ბელარუსი (Mr. Valery Malashko, Minister of Health) [illegible]

ყაზახეთი (Mr. Yelzhan Birtanov, Minister of Health) [illegible]

ჩეხეთი (Mr. Adam Vojtěch, Minister of Health) [illegible]

შვედეთი (Ms. Lena Hallengren, Minister of Health and Social Affairs) [illegible]

აზერბაიჯანი (Mr. Ogtay Shiraliyev Kazim oglu, Minister of Healthcare) ქ-ნ ნატას პირადად ვიცნობ. პატივს ვცემთ მის მიერ სხვადასხვა თანამდებობებზე განხორციელებული საქმიანობისთვის. ვფიქრობ, გადაწყვეტილების მირების დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ როგორც პროფესიონალიზმის დონით, აგრეთვე ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობებით. მიიპატიჟა ბ-ნი სერგეენკო ბაქოში.

დიდი ბრიტანეთი (Dr. Dame Sally, Chief Medical Officer (CMO) for England and Chief Medical Advisor to the UK government) ამ ეტაპზე საბოლოო გადაწყვეტილება არ აქვს

ბრიტანეთს შემუშავებული ვის დაუჭერს მხარს. თავად ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხარს უჭერს საქართველოს კანდიდატს და დადებით რეკომენდაციას მიაწვდის დიდი ბრიტანეთის მთავრობას საქართველოს კანდიდატის მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მოგვმართა თხოვნით, დამატებით ვიმუშაოთ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და განვახორციელოთ ვიზიტი დედაქალაქში.

ირლანდია (Ms. Colette Bonner, Deputy Chief Medical Officer and Ms. Tanya King, Deputy Chief Nursing Officer) მოგვმართა თხოვნით დამატებით ვიმუშაოთ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და განვახორციელოთ ვიზიტი დედაქალაქში.

ბოსნია და ჰერცეგოვინა (Ms. Nermina Kapetanovic, Ambassador Extraordinary and Plenipotentiary Permanent Representative of Bosnia and Herzegovina to the UNOG) დადებით რეკომენდაციას მიაწვდის დედაქალაქს საქართველოს კანდიდატის მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მოგვმართა თხოვნით, დამატებით ვიმუშაოთ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და განვახორციელოთ ვიზიტი დედაქალაქში ჯანდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებთან შეხვედრის მიზნით.

ყირგიზეთი (Mr. Kosmosbek Cholponbaev, Ministry of Health of the Kyrgyz Republic) მადლიერება გამოხატა ქ-ნი ნატას მიერ ყირგიზეთის ჯანდაცვის სისტემის განვითარების ხელშეწყობისთვის. დადებით რეკომენდაციას მიაწვდის დედაქალაქს საქართველოს კანდიდატის მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მოგვმართა თხოვნით, დამატებით ვიმუშაოთ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და ვეწვიოთ დედაქალაქს და გავმართოთ შეხვედრები საგარეო საქმეთა მინისტრთან.

ტაჯიკეთი (Ms. Umarzoda Saida, First deputy minister of Health and Social Protection of the Republic of Tajikistan) მადლიერება გამოხატა ქ-ნი ნატას მიერ ტაჯიკეთის ჯანდაცვის სისტემის განვითარების ხელშეწყობისთვის. მოგვმართა თხოვნით, დამატებით ვიმუშაოთ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და განვახორციელოთ ვიზიტი დედაქალაქში საგარეო საქმეთა და ჯანდაცვის მინისტრებთან შეხვედრის მიზნით.

ისრაელი (Dr. Asher Shalmon, Director of the International Relations Division in the Ministry of Health) დადებით რეკომენდაციას მიაწვდის დედაქალაქს საქართველოს კანდიდატის მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მოგვმართა თხოვნით დამატებით ვიმუშაოთ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და განვახორციელოთ ვიზიტი დედაქალაქში.

შვეიცარია (Ambassador Kronig Romero, Vice Director of the Federal office of Public Health) ამ ეტაპზე გადაწყვეტილება არ აქვთ მიღებული ვის დაუჭერენ მხარს, ელოდებიან შეფასების ჯგუფის ანგარიშის გამოქვეყნებას (სავარაუდოდ გამოქვეყნდება 5 ივლისს). დაინტერესდა კანდიდატის ხედვით WHO-ს რეფორმირების პროცესთან და ჯანდაცვის სფეროში ევროკავშირის მიზნების, ფასეულობების რეგიონული ჯგუფის სხვა ქვეყნებში გავრცელებასთან დაკავშირებით.

მალტა (Dr. Maya Podesta, Resident Specialist in Public Health Medicine, Ministry for Health of Malta) დაინტერესდა პატარა ქვეყნებში ჯანდაცვის სფეროში არსებული

გამოწვევების აღმოფხვრის მიზნით კანდიდატის ხედვებით ევროპის რეგიონული ოფისის სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებით.
დანია (Dr. Søren Brostrøm, Director General for the Danish Health Authority), ლიეტუვა (Mr. Aurelijus Veryga, Minister of Health), პოლონეთი (Mr. Zbigniew J. Krol, Undersecretary of the Ministry of Health), ფინეთი (Dr Päivi Sillanaukee, Permanent Secretary Ministry of Social Affairs and Health), გერმანია (Ms. Dagmar Reitenbach, Head of Division Global Health Federal Ministry of Health) ამ ეტაპზე გადაწყვეტილება არ აქვთ მიღებული ვის დაუჭერენ მხარს. დაინტერესდნენ ქართველი კანდიდატის ხედვით.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ევროპის რეგიონული დირექტორის თანამდებობაზე, ქალბატონი ნატა მენაბდის საარჩევნო კამპანიის ფარგლებში მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

11-13 ივნისს, ქ-ნი ნატა მენაბდის **მონაწილეობა ევროპის რეგიონის ქვეყნების მაღალი დონის კონფერენციაში ქ. ლიუბლიანაში, სლოვენია.** შეხვედრის თემა იქნება: Healthy, Prosperous Lives for all in the European Region – High-level Conference on Health Equity. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში მნიშვნელოვანია დაიგეგმოს ქ-ნი ნატა მენაბდის ორმხრივი შეხვედრები, სამუშაო სადილები კონფერენციაში მონაწილე მაღალი დონის სტუმრებთან. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის შესაბამისად ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ბატონი ამირან გამყრელიძე, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორი.

11-14 ივნისს, ქ-ნი ნატა მენაბდის **მონაწილეობა ევროპის რეგიონის ქვეყნების მაღალი დონის კონფერენციაში ქ. ბუდაპეშტში, უნგრეთი.** აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში მნიშვნელოვანია დაიგეგმოს ქ-ნი ნატა მენაბდის ორმხრივი შეხვედრები, სამუშაო სადილები კონფერენციაში მონაწილე მაღალი დონის სტუმრებთან. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის შესაბამისად ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ბატონი დავით სერგეენკო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

5 ივლისს, ქ-ნი ნატა მენაბდის **მონაწილეობა საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის მე-15 საერთაშორისო კონგრესზე სტომატოლოგ ქალთა მსოფლიო ფორუმში ქ. ბათუმში, საქართველო.** შეხვედრის თემა "Woman's Health in the Healthy Universe". აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში მნიშვნელოვანია დაიგეგმოს ქ-ნი ნატა მენაბდის ორმხრივი შეხვედრები კონფერენციაში მონაწილე მაღალი დონის სტუმრებთან. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის შესაბამისად ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი, საქართველოს პრეზიდენტი.

11-12 ივლისს, ქ-ნი ნატა მენაბდის **მონაწილეობა ბათუმის 2019 წლის კონფერენციაში, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის 10 წლის იუბილეს მიეძღვნება.** აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში მნიშვნელოვანია დაიგეგმოს ქ-ნი ნატა მენაბდის ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრები კონფერენციაში მონაწილე მაღალი დონის სტუმრებთან. ასევე, შესაძლებელია ჯანდაცვისა და უსაფრთხოების თემატიკაზე კონფერენციის პარალელური ღონისძიების ორგანიზება.

ჟენევაში გამართული შეხვედრებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქ-ნი ნატა მენაბდის **ორმხრივი ვიზიტები დაიგეგმოს კენჭისყრაში მონაწილე ქვეყნების დედაქალაქებში ჯანდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებთან შეხვედრის მიზნით.**

ივლისის შუა რიცხვებში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქ-ნი ნატა მენაბდის კანდიდატურის წარდგენის მიღება **ქ. ნიუ იორკში** და ორმხრივი შეხვედრების გამართვა კენჭისყრაში მონაწილე 51 ქვეყნის გაეროსთან მუდმივ წარმომადგენლებთან.

სასურველია, **სექტემბრის დასაწყისში** (5 სექტემბერი) ქ-ნი ნატა მენაბდის საპატივცემულოდ **მიღება** გაიმართოს **ქ. კოპენჰაგენში** კენჭისყრაში მონაწილე 51 ქვეყნის ელჩებისთვის.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა, საგარეო საქმეთა მინისტრის/მოადგილის და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის კენჭისყრაში მონაწილე 51 ქვეყანაში დაგეგმილი ვიზიტების დროს დელეგაციაში ქ-ნი ნატა მენაბდის ჩასმა. ასევე საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის პირადი თხოვნები ქ-ნი ნატა მენაბდის მხარდაჭერის შესახებ გაიგზავნოს კოლეგებთან სექტემბრის დასაწყისში.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ევროპის რეგიონული დირექტორის თანამდებობაზე, ქალბატონი ნატა მენაბდის საარჩევნო კამპანიის ფარგლებში უკვე განხორციელებული ღონისძიებები:

9-10 აპრილს, ქ-მა ნატა მენაბდემ მონაწილეობა მიიღო ევროპის რეგიონის ქვეყნების მაღალი დონის კონფერენციაში **ქ. აშხაბადში, თურქმენეთი.** შეხვედრის თემა იყო „Noncommunicable Diseases: Time to deliver – meeting NCD targets to achieve Sustainable Development Goals in Europe“.

15-18 აპრილს, გაიმართა ქ-ნი ნატა მენაბდის ვიზიტი ქ. ჟენევაში. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა ორმხრივი შეხვედრები ქ. ჟენევაში შემდეგი ქვეყნების **ფინეთის, ხორვატიის, ესპანეთის, ისლანდიის, ირლანდიის, მონტენეგროს, მალტის, რუმინეთის, ნორვეგიის, პოლონეთის, ბელორუსის, ლუქსემბურგის, უკრაინის, დიდი ბრიტანეთის, სლოვენიის, შვედეთის, დანიის, თურქმენეთის, იტალიის, შვეიცარიის, კვიპროსის, სლოვაკეთის, ესტონეთის, სომხეთის, ლიეტუვის, ჩრდილოეთ მაკედონიის, აზერბაიჯანის, ისრაელის, ჩეხეთის, ყირგიზეთის, საფრანგეთის, სერბეთის, ბოსნია ჰერცოგოვინას** და **ლატვიის** ელჩებთან და საქმეთა დროებით რწმუნებულებთან.

ამასთანავე, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის შესაბამისად, ქ-მა ნატა მენაბდემ ორმხრივი ვიზიტები განახორციელა ნორვეგიაში, ესტონეთში, ლიტვასა და ლატვიაში.

მხარდაჭერის თხოვნის საკითხზე ოფიციალური კორესპონდენციის გავრცელების კუთხით, გაცნობებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან

დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, ბატონი დავით სერგეენკოს და თქვენი მხარდაჭერის თხოვნის წერილები, შესაბამისი ნოტებითა და საარჩევნო ბროშურებით მიეწოდება WHO-ს რეგიონული კომიტეტის 46 (გარდა იმ ქვეყნებისა, რომლებსაც კანდიდატი ყავთ და რუსეთისა) ქვეყანას **27 მაისს.**

გთხოვთ, განიხილოთ წერილში დასმული საკითხები და მოგვაწოდოთ შემდგომი სამოქმედო ინსტრუქცია.

დანართი: 7 გვერდი.

პატივისცემით,
ვიქტორ დოლიძე

მუდმივი წარმომადგენელი